ოქმი:**ო37. 37232905**
თარიღი:**17/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარინა ვაშალომიძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 17 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ მ.ვაშალომიძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, მ.ვაშალომიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ქალაქში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურ პროგრამებზე,ონკოლოგიურად დავადებულ პაციენტთა დახმარება, სოციალურად დაუცველების დასაქმება. სერის უბანზე 10- ოჯახს დაიხურა და გაეწია სოციალური დახმარება.მარინა ვაშალომიძემ აღნიშნა, რომ გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ვასილ ჩიგოგიძის მხარდაჭერითა და გვერდში დგომით მრავალი პრობლემა იქნა გადაჭრილი.35-

ომის ვეტერანებს გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტები. ოპერატიულად მოხდა სტიქიის შედეგად დაზარალებულებთან მისვლა და მათთვის დახმარების გაწევა , აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ბევრგან მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები,გზები, მალაზონიას ქუჩაზე კორტების სამუშაოების დამთავრება. რეაბილიტაცია უნდა ჩუტარდეს რუსთველის ქუჩაზე მდებარე სატადიონს.მალაზონის ქუჩაზე კორპუსის შეფუთვა და სანიაღვრე არხები. თალაკვაძის ქუჩაზე სასაფლაოებთან მიმავალი გზების რეაბილიტაცია

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ მ. ვაშალომიძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი